ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 60

« 26 » თებერვალი 2016 წ

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შპს „სინათლის ქალაქის“ და შპს „თბილსერვის ჯგუფის“ რეორგანიზაციასთან (შერწყმასთან (მიერთებასთან)) დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის, 106[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონი 9[1] და 14[4] მუხლებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 17 თებერვლის №07.10.143 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიზანშეწონილად ჩაითვალოს და თანხმობა მიეცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „სინათლის ქალაქის“ (ს/ნ №406038684) შპს „თბილსერვის ჯგუფთან“ (ს/კ №206267494) შერწყმის (მიერთების) და შერწყმის (მიერთების) შედეგად წარმოქმნილი შპს „თბილსერვის ჯგუფის“ (ს/კ №206267494) - შპს „სინათლის ქალაქის“ (ს/ნ №406038684) - სამართალმემკვიდრედ (უფლებამონაცვლედ) განსაზღვრის თაობაზე.

2.განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი